სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია. | წელიწადი პირველი. | ბრძოლაში ჰპოვებ შენს უფლებას!

კვირა, 18 აგვისტო 1918 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომა

№ 11

გაზეთის ფასი 40 კაპ.

ჩეხო სლოვაკებსა და ბოლშევიკებს შორის სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. ბოლშევიკები იმარჯვებენ. თბილისში ჩამოვიდენ გერმანიიდან ქართველი სამხედრო ტყვეები.

ორგანო საქართველოში მომქმედ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 9 მან. ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი 1 მან., მეოთხეზე 80 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: *Тифлисъ, Контора Газ. „Шрома", Чавчавадзевская ул. Софійская школа.* სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება 10—11 საათამდე.

რედაქციის მისამართი: *Тифлисъ Редакція газ. „Шрома" Чавчавадзовская ул. Софійская школа.*

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-დღიურ გაზეთ

„შ რ ო მ ა"-ზე

გაზეთი ღირს ერთი თვით 9 მანეთი.

მისამართი: ტფილისი, ჭავჭავაძის ქუჩა № 4 გაზეთ „შრომის" კანტორა.

კვირას, 18 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე

ვაჟთა პირველ გიმნაზიის დარბაზში (შესავალი როზანოვის ქუჩიდან პირველი კარები) დანიშნულია

სოციალისტ რევოლიუციონერთა პარტიის თბილისის ორგანიზაციის

საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. ქალაქის კომიტეტის ხელახალი არჩევნები.
2. მიმდინარე საკითხები.

ვსთხოვთ ყველა ამხანაგებს კრებას აუცილებლათ დაესწრონ.

თბილისის ქალაქის კომიტეტი.

В воскресенье, 18 августа, в 7 часов вечера в первой мужской гимназіи (вход с Розеновск. ул. первый подъѣзд) СОСТОИТСЯ

ОБЩЕЕ СОБРАНІЕ

членов Тифлисской организаціи партіи Соціалистов-Революціонеров.

Порядок дня: 1) перевыборы городского комитета. 2) организаціонные вопросы.

Тиф. Город: Комитет.

ექიმი ი. კ. აბაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4 1/2—6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.

ქ. თბილისი, 18 აგვისტო.

სტამბოლის კონფერენცია, რომელსაც ჩვენში ზოგიერთი წრეები მანანასავით ელოდენ, ჯერ კიდევ არ შემდგარა. სხვადასხვა ხმები, რომლებიც კონფერენციის გარშემო ტრიალებენ, არას ამბობენ გარკვეულსა და საიმედოს.

სკეპტიციზმს აძლიერებს თვით კონფერენციის მდგომარეობაც რომლის ნაწილი სტამბოლშია, ხოლო ნაწილი ბერლინში. რა თქმა უნდა დღეს, განსაკუთრებით გერმანიაში, ისეთი დიდი საკითხები სწყდება, რომ მათთან შედარებით ამიერ-კავკასიის და კერძოთ საქართველოს საკითხი მეტად პაწია და უმნიშვნელოა. ასეთ საკითხებისათვის, შესაძლოა, არც კი სცალიათ ბუმბერაზ სახელმწიფოთა იმპერიალისტურ მესვეურთ. შესაძლოა, მაგრამ ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ სტამბოლის კონფერენციის დაყოვნება მარტო ამით არ აიხსნება. ჯერ ერთი ამიერ-კავკასიის საკითხი არც ტერიტორიის მხრით და არც სტრატეგიული თვალსაზრისით არ წარმოადგენს ისეთ უმნიშვნელო რამეს, რომ მას ყურადღება არ მიაქციონ, მით უმეტეს დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა. გარდა ამისა ეს საკითხი რომ უმნიშვნელო ყოფილიყო აქამდის უკვე გადაწყდებოდა. მას არ დასჭირდებოდა ამდენი კონფერენციები და თათბირები. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს მიზეზები იმის, თუ რატომ ამდენ ხანს არ შესდგა კონფერენცია, ჩვენთვის გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იმ პერსპექტივებს, რომლებიც მოსალოდნელია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის იმ შემთხვევაში, თუ კონფერენცია მართლა შესდგა.

უეჭველია აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ უყურებს გერმანია ბრესტის ზავს, თუ რა ფარგლებში და პირობებში მიაჩნია მას შესაძლებლათ მისი დარღვევა და გადალახვა.

მას შემდეგ, რაც კონფერენციაზე ჩვენი დელეგატები გაემგზავრენ, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში დიდი ცვლილებები მოხდა, რომლებიც, თქმა არ უნდა, დიდ გავლენას იქონიებენ კონფერენციის შედეგებზე. ბოლშევიკური რუსეთი, რომელიც დღეს საბჭოთა მთავრობის მოწინააღმდეგე ძალების მიერ გარს შემორტყმულია, უკვე გერმანიის კოალიციაში მოექცა. ეს მდგომარეობა აიძულებს ბოლშევიკურ მთავრობას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისადმი თავისი მტრული და შეურიგებელი პოზიცია შესცვალოს. ბოლშევიკებს არა აქვთ დღეს საკმაო ძალა არამც თუ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა დასაპყრობათ, არამედ თავის მდგომარეობის შესანარჩუნებლათაც!..

მეორეს მხრით, თუ ავიღებთ კერძოთ საქართველოს, აქაც მოხდა არა ერთი ფაქტი, რომელსაც დადებითი მნიშვნელობა ექნება საქართველოს დამოუკიდლობის განსამტკიცებლად, რამდენათ ეს უკანასკნელი დამოკიდებულია გერმანიისაგან.

გერმანიიდან მრჩევლების მოწვევა, ამ დღეებში ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებული სამხედრო კანონი, რომელსაც არა აცხია რა დემოკრატიული და რესპუბლიკანური—ყველა ეს გერმანეთის თვალში დიდ პლიუსად ჩაეთვლება რესპუბლიკანურ საქართველოს!..

ყველა ამის შემდეგ არც ისე ძნელია წარმოვიდგინოთ სტამბოლის კონფერენციის შედეგები.

პარლამენტის გარშემო

(ერთი შეკითხვის გამო).

ჩვენმა ხალხმა არც კი იცის რა არის პარლამენტი. აუცილებელი კია, რომ ხალხი იცნობდეს და აფასებდეს პარლამენტს. საჭიროა, რომ ხალხი პარლამენტში ხედავდეს თავის გამოხატულებას. და ეს შესაძლებელია მაშინ, როდესაც პარლამენტში გაჩაღებული იქნება დინჯი კანონმდებლობითი მუშაობა, როდესაც პარლამენტი პასუხს გასცემს ყოველ საჭირბოროტო საკითხს, რომელიც ცხოვრებამ წამოაყენა, როდესაც პარლამენტი დაგმობს და შეებრძოლება ყველაფერს, რასაც ხალხის სინდისი ვერ ურიგდება, დაადასტურებს იმას, რაც ხალხის აღშფოთებულ სინდისს დაამშვიდებს. აი სწორეთ მაშინ გადიქცევა პარლამენტის ტრიბუნა ხალხის გულში იმ წმინდათა-წმინდათ, რომლის ხელის შეხებას ხალხი არავის აპატიებს. მაგრამ თუ პარლამენტის ტრიბუნა კინკლაობის საშუალებათ გადიქცა, თუ პარლამენტი ჩაეფლო დემაგოგიისა და სიცრუის ჭაობში, თუ მან თელვა დაუწყო ჭეშმარიტებას და ცხოვრების სიდუხჭირით აღშფოთებული მოქალაქის სინდისი ვერ დაამშვიდა, მაშინ ხალხი ზურგს უჩვენებს ასეთ პარლამენტს და უკანასკნელი ისევე დარჩება ჰაერში ჩამოკიდებული, როგორც რუსული სათათბირო იყო. ამ გარემოებას უნდა ექნეს მიქცეული სერიოზული ყურადღება პარლამენტში მომუშავე ფრაქციების მხრით. მათ უნდა ხელი შეუწყონ პარლამენტის პოპულიარიზაციას და ხალხის გულის მესაიდუმლის კვარცხლბეკზე აიყვანონ იგი.

სამწუხაროთ, ამ ცდას ვერ ვხედავთ ჩვენს პარლამენტში. ყოველ შეკითხვას, რაც უნდა უმნიშვნელო იყოს იგი, პარლამენტი დიდის ყურადღებით უნდა მოეპყრას, ობიექტიურათ გაამუქოს ის და შესაფერისი პასუხი გასცეს მას. მართალია, შეკითხვა ეხება ხოლმე მთავრობას, რომელსაც პარლამენტის უმრავლესობა მხარს უჭერს, მაგრამ არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ მთავრობა მაინც სხვაა და პარლამენტი კიდევ სხვა. მხარის დაჭერა კიდევ არ ნიშნავს ყველა ნაბიჯების დადასტურებას. ამ შემთხვევაში პარლამენტის არსებობა ზედმეტი იქნებოდა. მაშინ საკმარისი იქნებოდა პარლამენტის ერთხელ შეკრება, მთავრობის არჩევა და მერე დაშლა. მუდმივი პარლამენტი ზედმეტ ბარგათ დააწვებოდა სახელმწიფოს. მეორე მხრით თუ მართალია თქმულება: არ სცდება მხოლოთ ის, ვინც არაფერს აკეთებსო, მაშინ არც მთავრობა შეიძლება იქნეს შეუცდომელი და პარლამენტის მოვალეობაა დროზე მიუთითოს მთავრობას ამ შეცთომებზე, რათა აიცდინოს სახელმწიფოს მთავრობის შემცდარი ნაბიჯების მძიმე შედეგები.

ხდება თუ არა აგრე ჩვენს პარლამენტში? არა. ავიღოთ უკანასკნელი შეკითხვა ტუსაღების გაუსამართლებლათ დახვრეტის შესახებ. ამის შესახებ ჩვენმა ფრაქციამ უკვე გამოსთქვა თავისი აზრი, ჩვენს პრესაშიაც იყო გაშუქებული ეს საკითხი და ახლა აღარ დავუბრუნდებით ჩემი მიზანია აღვნიშნო, რომ ჩვენს პარლამენტში სამწუხაროთ ამ შეკითხვის გარშემო ატეხილმა კამათმა მიიღო მახინჯი ხასიათი. და ამ მნიშვნელოვანი კამათის დამახინჯებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ერ. დემოკრატს რევაზ გაბაშვილს და სოც. დემოკრატს კ. ნინიძეს. რევაზ გაბაშვილმა გვერდი აუხვია შეკითხვის დედა აზრს, გადავიდა ტრიბუნალებზე. ბანკის „გაცარცვაზე" მოიყვანა სვირის ვლეხების წერილი თავისი პარტიის შესახებ და დაასკვნა, რომ ყველაფერში დამნაშავე სოციალისტები არიან. ეს გახლავთ შეკითხვის დამახინჯება. მაგრამ უფრო საყურადღებო იყო სოც. დემოკ. კ. ნინიძის ორი გამოსვლა. მან ისე დააკნინა და დაახურდავა ჩვენი პარლამენტის ტრიბუნა, რომ მას სავსებით აჭყარა პატივი და გადააქცია იმ სკამათ, რომლიდანაც თავზე ხელ აღებული დემაგოგი ხელმძღვანელობს ხოლმე შეუგნებელ ბრბოს. რა სთქვა მან? ყველაფერი, გარდა შეკითხვის პასუხისა. მან ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ჩიქოვანს არა აქვს სწორათ აღნიშნული შეკითხვის თარიღი, რომ ჩიქოვანი დამნაშავეროდესაც შეურიგდა რვა მკვლელობას, და ბოლოს შეეკითხა ჩიქოვანს: რათ დასტრიალებს ის უკანასკნელ ორ მკვლელობას, თითონ ხომ არ არის მონაწილე? (სირცხვილი!) მან აღნიშნა რომ ეროვნულ დემოკრატები კონტრ-რევოლიუციონერები არიან, რომ ისინი თავადაზნაურობას, იცავენ, რომ მათ არ იციან სვირია ჩხეიძის სოფელი თუ ფუთი, და სხვა ასეთები. ახლა ვიკითხოთ რა აქვს ყველაფერს ამას საერთო შეკითხვასთან? ნინიძისათვის ადვილია ბრალი დასდოს ჩიქოვანს, რომელიც რვა მკვლელობას შეურიგდა, მაგრამ რას ეუბნება იმ მოქალაქეს, რომელიც ვერც ერთს მკვლელობას ვერ შეურიგდა და პასუხს მოითხოვს? ეროვნულ დემოკრატები კონტრ-რევოლიუციონერები არიან, მაგრამ რა შუაშია აქ ის მოქალაქე, რომელსაც გაუსამართლებლათ ხვრეტენ ქუჩაში? რატომ არ იცის ბ. ნინიძემ, რომ ეროვნულ დემოკრატები ჩვენ და მთელს საქართველოს ისე, აინტერესებს, როგორც შარშანდელი თოვლი? რატომ არ

იცის მან, რომ შეკითხვა ჩიქოვანის კერძო საკუთრებას არ წარმოადგენს. რაკი შეკითხვა შემოვიდა, ის უკვე მთელს საქართველოს ეკუთნის და პასუხს მთელი საქართველო მოითხოვს და არა ჩიქოვანი და გაბაშვილი! ბ. ნინიძე აცხადებს: მთავრობამ არ იცის ეს ფაქტებიო. ბოლოს დასკვნის: სამწუხაროთ ასეთი ფაქტები არსებობსო. იმასაც ამბობს: ტუსაღები სოც. დემოკრატიულ ბიუროში კი-არა წითელი გვარდიის ბიუროში მიჰყავო, ფაქტები იცის პრესამ, ეს იცის მთელმა ქვეყანამ და არ იცის მთავრობამ. ჩვენი აზრით, რაკი პრესაში აღინიშნება რომელიმე ფაქტი, მას უნდა ყურადღება მიაქციოს მთავრობამ. მართალია საგაზეთო წერილი ისტორია არ არის და საჭიროებს მიუდგომელი კრიტიკის დასტურს, მაგრამ სწორეთ ამიტომ ეს წერილი უნდა იყოს საკმარისი იმისთვის, რომ მთავრობამ ფაქტი გამოძიების საგნათ აღიაროს, დანიშნოს „გამოძიება და ბოროტმოქმედება, თუ კი ის დამტკიცებულ იქმნება, ალაგმოს. ეს ამდენ ხანს აგრე არ ყოფილა. გაუსამართლებლათ მკვლელობა ხდებოდა, ეს ადმინისტრაციამ იცოდა, და ამას ყურადღებას არ აქცევდა. ასეთ მკვლელობას ყველგან ქონდა ადგილი: ტფილისში, ქუთაისში, პროვინციებში. გაზეთებში აღნიშნავდენ მილიციონერებს მიჰყავდათ ტუსაღები (ხანდისხან შუაღამეში ერთი ციხიდან მეორეში გადაყავდათ), მათ გაქცევა დაჰპირეს და დახვრეტილ იქმნენო.

ამას ბოლო უნდა მოეღოს. ზნეობრივი მხარე უდიდესი ძალაა რევოლიუციისა. თუ თქვენ რევოლიუციას ზნეობრივათ დაამარცხებთ, ის ფიზიკურათაც დამარცხდება. რუსეთში სანამ რევოლიუციას მაღლა ეჭირა დროშა ზნეობრივი სისპეტაკისა, ის ძლიერი იყო, მაგრამ როდესაც ბოლშევიკებმა ხელთ იგდეს მისი მესვეურობა, მათ სისხლში ამოსვარეს რევოლიუცია. დაუწყეს დევნა პრესას, სიტყვის თავისუფლებას, უხვათ დაღვარეს მოწინააღმდეგეთა სისხლი, ფეხქვეშ გასთელეს ყოველგვარი უფლებრივი და ზნეობრივი ნორმები, ზნეობრივათ გაათახსირეს რევოლიუცია და ამან გამოიწვია უკანასკნელის ფიზიკური დამარცხება და განადგურება. ეს ფაქტი მრავალ მეტყველია. ნამდვილი რევოლიუციონერის მოვალეობაა შეიბრალოს რევოლიუციის ზნეობრივი მხარე და ამით იხსნას თვით რევოლიუცია დამარცხებისაგან.

ფარი.

ზნეობრივი მომენტი რუსეთის რევოლიუციაში.

(იხ. „შრომა“ № 10)

სამწუხაროთ ამ მოწოდებას ხალხმა ყური არ ათხოვა: კერენსკის შიში გამართლდა, მოწამლულმა გონებამ ხალხი უფსკრულისაკენ გააქანა. არსაიდან სჩანდა ის ზნეობრივი ძალა, რომელსაც შეეძლებოდა ხალხი საშინელ განსაცდელისაგან ეხსნა. ერთი მეორეზე ილუპებოდა რევოლიუციის მონაპოვარნი. პირველ-ყოვლისა მოისპო პიროვნების ხელშეუხებლობა, დატუსაღება, დახვრეტა ადამიანისა გაუსამართლებელ-გამოუძიებლათ ჩვეულებრივ მოვლენათ შეიქნა. ადამიანის პიროვნებამ ყოველივე ფასი დაკარგა, და ეს უკიდურესი შელახვა ადამიანის პიროვნებისა სწარმოებდა და დღემდის სწარმოებს რუსეთში სამოქალაქო ომის სახით.

როდესაც რუსეთის რევოლიუციას და სახელმწიფოს გარეშე ძალისაგან საფრთხე მოელოდა მაშინ სამოქალაქო ომის გაჩაღება, რასაც აუცილებლათ თან მოყვებოდა საზღვრების გახსნა და იქიდან ბრძოლის ველის გადმოტანა სახელმწიფოს შუაგულში, დიდს საფრთხეს წარმოადგენდა. რასაკვირველია ანგარიში უნდა გაეწია ამ საფრთხისათვის ყველას, ვისაც-კი გული შესტკიოდა რუსეთის რევოლიუციისათვის, განსაკუთრებით მათ, ვინც ხალხის ხელმძღვანელობა იკისრა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ეგრეთ წოდებული გაღრმავება რევოლიუციისა გამოიხნდა მთელს რუსეთში და იმსხვერპლა რევოლიუციის საქმე.

როგორი ხასიათი მიიღო ამ ბრძოლამ?

რუსეთის ერთმა გამოჩენილმა რევოლიუციონერმა ერთ ერთ თავის შრომაში სთქვა, რომ სოციალიზმი ებრძვის პრინციპებს და არა ადამიანებს, რომ სოციალისტს არ შეუძლია თავისი დროშა შელახოს ზედმეტი ძალ-მომრეობით. რუსეთის სინამდვილეში სულ სხვა დავინახეთ. კლასობრივი ბრძოლა გამოიხატა მხოლოდ უაზრო უმიზნო ხოცვა-ჟლეტაში.

სამოქალაქო ომის ზვირთებში დაილუპა პიროვნების ხელ-შეუხლებლობასთან ერთათ ყველა სხვა სამოქალაქო თავისუფლებანიც, თავისუფლება სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებისა, კავშირისა და სხვა. უფლებანი, რომელნიც შეადგენდა რევოლიუციის დიად მიზანს, და რომელიც მან მოუპოვა ხალხს, სავსებით უარყოფილი იქმნა. მთელს რუსეთს მოედო საშინელი ანარქიის ცეცხლი და არამც თუ თავისუფლება, თვით ფიზიკური მდგომარეობა ხალხისა უკიდურესს განსაცდელში ჩავარდა.

დღევანდელი მდგომარეობა რუსეთისა საშინელ სურათს წარმოადგენს, საშინელება-კი განსაკუთრებით მდგომარეობს მასში, რომ ყოველივე, რაც ხდება რუსეთში, ჩვეულებრივ ხასიათს იღებს.

ადამიანის პიროვნების ყოველნაირი შელახვა, ყოველნაირი გავერანებული მოქმედება, როგორც-კი ზემოთ ვსთქვით ჩვეულებრივ საქმეთ შეიქნა. აი როგორ ახასიათებს რუსეთის დღევანდელ ვითარებას ერთ ერთი მისი გამოჩენილი მწერალი:

ჩემთვის სავსებით ცხადია, რომ ქუჩაში მცარცველები ჩვეულებრივი რუსის ხალხია, სხვა დროს უწყინარიც, და იმ ფაქტში, რომ ეს ჩვეულებრივი ხალხია, არის უკიდურესათ საშიში მოვლენა. აი როგორ მიმდინარეობს დღეს ცხოვრება ჩვენს სამშობლოში. განაგრძობს იგივე მწერალი,—ერთი ნაწილი სძარცვავს, ავაზაკობს, ხოცავს, მეორე ნაწილი ხვრეტს მცარცველებს, მესამე-კი ამაზე ბაასობს და სწერს სრულებით უდარდელათ. მაგრამ საკმაოა გაიხსენო, რომ ეს ჩნდება სახელმწიფოში, სადაც ადამიანის სიცოცხლისა, პიროვნებისა და შრომისადმი პატივისცემას აღარაფერი ფასი არ აქვს. მაგ., გაზეთში კითხულობთ: სამი კაცი მივიდა სტუმრათ თავის ნაცნობთან, რაღაც არ მოეწონათ მასში, აიღეს, დაკეპეს 19 ნაწილათ, ნაწილები დააგროვეს და გადაყარეს ხრამში; ყველაფერი ეს უბრალოთ და შეუშფოთებლათ მოხდა.

ან და მოუვარდენ ავათმყოფ ტყვეთ ციხეში და იქვე მოკლეს; ამგვარათ მოკლეს შინგარიოვი და კოკოშკინი. მათი მოკვლა იწვევს გამოუთქმელ ზიზღს. მე ვეკითხები ჩემ თავს: შევსძლებდი თუ არა ამ მკვლელების გასამართლებას, გამტყუნებას ან გამართლებას და ვგრძნობ, რომ ამ კითხვაზე პასუხი უარყოფითი უნდა იყოს; ჩემთვის შეუძლებელია როგორც ერთი ისე მეორე; შეუძლებელია გასამართლება მისი, რაც ნაყოფია ჩვენდა საუბედუროთ ჩვენი ქვეყნის უკუღმართი ისტორიისა“.

და ჩვენც დაუდასტურებთ რუსეთის გამოჩენილ მწერალს, რომ ჩაქოლვა იმ დანაშაულთათვის, რასაც ეხლა სჩადის რუსეთის ხალხი,—შეუძლებელია, რადგან იგი გამოწვეულია მისი შეუგნებლობით, რაც მწარე შედეგია ხანგრძლივ მონობისა. პირიქით ჩვენს გულის-წყრომას იწვევს ის ნაწილი ინტელიგენციისა, რომელმაც გაიტყუა შეუგნებელი ხალხი დამღუპველ გზისაკენ.

სოციალისტური რევოლიუციის განზრახვა დღევანდელ პირობებში იყო ის დამღუპველი ოცნება, რომელმაც ხალხს დააკარგვინა უკვე მოპოებული უფლებანიც. ხალხმა ვერ გამოიჩინა მოქალაქობრივი შეგნება, ჯეროვანი მომზადება და ამით მოუმზადა ნიადაგი რევოლიუციის დამარცხებას.

ამნაირათ რუსეთის რევოლიუციის დამარცხების მიზეზი ჩვენ უნდა ვეძიოთ ერთი მხრივ ხალხის შეუგნებლობაში, მეორე მხრივ-კი მასში, რომ მისმა ფაქტიურათ წინამძღოლებმა ვერ შეასრულეს ჯეროვანათ თავისი როლი.

რუსეთის რევოლაუციას აკლდა ის ზნეობრივი ძალა, რომელსაც უნდა ჩაებერა მისთვის ცხოველი სული.

ამ მიზეზების გამო რუსეთის რევოლიუცია დღეს ტრაღედიას წარმოადგენს, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მაინც შეიძლება მისდამი იმედი ღვივოდეს ჩვენში!

რუსეთის რევოლიუციის აღდგენის თავდებათ უნდა ჩაითვალოს ის შინაგანი პოტენციური ძალა, რომელიც მუდმივ ასაზრდოებდა რუსეთის მოწინავე შვილებს მათ ბრძოლაში.

მხოლოდ დღეს ისე, როგორც არასოდეს საჭიროა ამ ძალის ხორცის შესხმა და მჭიდროთ მისი განმტკიცება ხალხის გულში.

ვისაც კი გული შესტკივა რუსეთის რევოლიუციისადმი დღეს მოვალეა მთელი თავისი ძალ-ღონე მოახმაროს ხალხის გამოფხიზლებას, მის სულიერ აღდგენას. რადგან თუ მართალია ის, რომ ბრძოლაში მოიპოვება უფლება, მართალია ისიც რომ ნამდვილი იარაღი ბრძოლაში შეგნება არის.

მარ. ჩ—ძე.

მთავრობაში

შინაგან საქმეთა მინისტრი შესაძლოთ სცნობს შეაჩეროს იმ კანონის მოქმედება, რომლის ძალით დათხოვნილი სახელმწიფო სამსახურიდან მოსამსახურეები, რომელთაც მიეცათ სალიკვიდაციო და უნდა დაეტოვებიათ საქართველოს ტერიტორია 7 დღის განმავლობაში, ვინაიდან მიმოსვლა საქართველოს სამხედრო გზაზე ამ ჟამათ შეუძლებელია.

16 აგვისტოს სხდომაზე მთავრობამ გენ. მაზნიაშვილის განკარგულებაში გადასდო 500 ათასი მან. აქედან 300 ათასი სამხედრო საჭიროებისათვის, დანარჩენი კი დაპყრობილ ადგილებში ადმინისტრაციის მოსაწყობად.

დამტკიცებულ იქმნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა.

მთავრობამ დაადგინა დაიხუროს ლაზარეთი № 33 და მოსამსახურეებს სალიკვიდაციო მიეცეთ საერთო საფუძველზე.

ქალაქის თავის შუამდგომლობა, რომ ქალაქის თვითმართველობას უფლება მიეცეს სპირტის რეკვიზიციის მოხდენისა უარყოფილ იქმნა: ამის უფლება მიეცა მიწათმოქმედების მინისტრს. ავტომობილებისათვის სპირტის ხმარება აღკრძალულია.

მარილის შესახებ ხელშეკრულების დადება დაევალა საგანგებო კომისიას, რომელშიაც შევლენ: ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, მისი ამხანაგებით და იუსტიციის და სურსათის მინისტრები.

სასურსათო მინისტრს დაევალა მიაწოდოს პური სამეგრელოს და გურიის დამშეულ ადგილებს.

უკანასკნელი ცნობები.

გურიის სამღვდელოება. ეროვნულ საბჭოს თავმჯდომირე ჩხეიძემ ოზურგეთიდან მიიღო შემდეგი დეპეშა: 1) საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გურიის სამღვდელოება პირველათ შეიკრიბა და გამოიტანა შემდეგი დადგენილება: გურიის სამღვდელოება აღტაცებით ეგებება რაინდსაქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და ფიცსა სდებს ყოვლის შემძლე ღვთის წინაშე, რომ ყოველთვის და ყველაფერში ემსახურება რესპუბლიკის ინტერესებს და დამოუკიდებელი სახელმწიფოს განმტკიცების საქმეს. უსურვებთ წარმატებას ეროვნულ საბჭოს გარეშე და შინაურ მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში და დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ საფუძველთა განმტკიცების საქმეში.

— **ქუთაისის რკინის გზის მოსამსახურეთა დადგენილება.** ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარემ ქუთაისიდან მიიღო შემდეგი დეპეშა: რკინის გზის მეორე განყოფილების მოსამსახურეებმა თავის სხდომაზე დაადგინეს შემდეგი: გაუქმებულ იქმნას რკინისგზის ცენტრალური და სხვა კომიტეტები, ვინაიდან მათ არსებობას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ არავითარი სარგებლობა არ მოაქვს.

ცენტრალური კომიტეტის უკანონო მოქმედებანი შტატების შემოკლებისა და მოსამსახურეთა დათხოვნის საქმეში იწვევენ დიდ უკმაყოფილებას. საჭიროა შეჩერებულ იქმნას კომიტეტის განკარგულება მოსამსახურეთა დათხოვნის საქმეში.

— **ქ. ქუთაისიდან გენ. სუმბათაშვილი** სამხედრო მინისტრს დეპეშით ატყობინებს:

ტყიბულის რაზმმა პოლკოვნიკ ზახარიევის მეთაურობით დაამარცხა მოწინააღმდეგე და ბრძოლით წინ მიიწევს. ჩვენმა ნაწილებმა განდევნა მოწინააღმდეგე კვაკუნტისა და თავშავას უღელტეხილისაგან და დაიჭირეს ყველა ხიდები და გასასვლელი ადგილები მდინარე რიონისა და დაბა ალპანის. მზვერავი ნაწილი წინ მიიწევს. ბრძოლით ავიღეთ სოფელი ზაგიში. ჩვენ წამოვიღეთ ერთი ტყვიის მფრქვეველი და ტყვეთ წამოვიყვანეთ 6 კაცი. კაიგიში, ცაგერი და სხვა სოფლებიდან დელეგატები მოდიან და მორჩილებას გვიცხადებენ.

იმედი გვაქვს, რომ ლეჩხუმისა და ხონის რაიონის აჯანყებას ჩქარა მოუღებთ ბოლოს. ჩვენს ხელშია ბუმბუას ხიდი. ჩვენმა ჰაეროპლანებმა გუშინ აბასთუმანში ჩამოყარეს ასაფეთქებელი მასალები. სოფლის მცხოვრებლებმა დელეგაცია გამოგზავნეს და თხოულობენ მოლაპარაკებით გაათაონ საქმე. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ არის“.

ბაქოს ბოლშევიკები.

ბაქოს ბოლშევიკები დაეცენ. შაუმიანმა და კომპანიამ კრიტიკულ მომენტში ქალაქი მიატოვეს და თავს გაქცევით უშველეს. ძალა-უფლება ესერებმა, მენშევიკებმა და დაშნაკელებმა აიღეს. ბოლშევიკების დამარცხება ბუნებრივი მოვლენაა. მათ არ ქონდათ ფესვები გადგმული ხალხში. თავისი ბატონობა ბოლშევიკებმა ხალხს ძალათ, ზევიდან მოახვიეს თავზე, და გასაგებია, რომ მარტო მექანიური, ფიზიკური ძალით მათ არსებობა ვერ შეინარჩუნეს. ბოლშევიკები დამარცხდენ. ეს ფაქტია. მაგრამ სავალალო ისაა, რომ მის ალაგს კიდევ უფრო მოუხეშავი და ტლანქი ძალა, ოსმალთა ვანდალიზმი იკავებს. ჩვენთვის ასეთი შედეგები ბოლშევიკურ მოძრაობისა აშკარა იყო. რეაქცია ამ სახით თუ იმ სახით მისი მემკვიდრე უნდა ყოფილიყო. ბოლშევიზმმა დაამახინჯა ბრძოლის რევოლიუციონური მეთოდები, შეარყია ათასგვარ ყალბ და უაზრო ექსპერიმენტებით ხალხის ფსიხოლოგია, მოქანცა იგი სულიერათ და ყოველივე ამითი დაუფასებელი სამსახური გაუწია რეაქციას. ეხლა ესერებმა, მენშევიკებმა და დაშნაკელებმა იკისრეს ხალხის ხელმძღვანელობა. მაგრამ ვგონებ, ამით. ხანგრძლივი სულიერი და ფიზიკური შეხლა შემოხლით ხალხის ენერგია დაიშრიტა, ნერვები დაავადდა, გონება დაჩლუნგდა და ასეთი პირობები კი ძლიერ ცუდი ნიადაგია ორგანიულ მუშაობისათვის, ამიტომ ვეჭვობ, რომ ხსენებულმა პარტიებმა რაიმე დადებითი მუშაობა აწარმოონ ბაქოს რაიონში, მტრის შემოსევასაც რომ გადაარჩინონ. აქ უმთავრესი გადამწყვეტი მომენტი შინაგანი რეაქციაა, რაც ბუნებრივათ ბოლშევიზმის ბატონობას და თარეშობას მოყვა. ასეთ საშიშროებას წარმოადგენს ბოლშევიზმი ხალხისათვის, და ამიტომ სადაც მათი ტლანქი განმანადგურებელი ხელი არ მიწვდენია ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ, რომ არ მიწვდეს. ამისათვის საჭიროა მთავრობა შეუდგეს ფართო საამშენებლო მუშაობას. ამაზე ბევრჯერ მიგვითითებია და კიდევ ვამბობ, რომ ხსნა ჩვენი ქვეყნისა მხოლოდ და მხოლოდ ამაშია.

Z.

ახალი ამბავი.

— **ტყვეების ჩამოსვლა.** 16 აგვისტოს თფილისში ჩამოვიდენ გერმანიიდან ქართველი სამხედრო ტყვეები, რიცხვით 200 კაცი. ახლო მომავალში ჩამოვლენ დანარჩენებიც.

— **ყაჩაღების მოკვლა.** მილიციის უფროსმა ჩაჩავამ მიიღო ცნობა, რომ აბრამიშვილზე, რომელიც სცხოვრობს ვერის დაღმართზე ყაჩაღებს განზრახული აქვთ თავდასხმა. ჩაჩავა 17 აგვისტოს ღამით მივიდა მილიციონერებით და თვალ-ყურის დევნება დაუწყო ბოროტმოქმედთ. უკანასკნელები რიცხვით 4 კაცი შევიდენ ბინაში, და რა ნახეს იქ მილიციის უფროსი, აუტეხეს მას სროლა, მაგრამ უშედეგოთ. ერთი ყაჩაღთაგანი დაეტაკა ჩაჩავას და მათ შორის დაი[წ]ყო ბრძოლა, მაგრამ ჩაჩავამ მოასწრო სროლა და ყაჩაღი იქვე მოკლულ იქნ[ა]. მეორე ყაჩაღიც მოკლეს, [illegible] მიიმალა. მოკლული ბოროტმომქმედი ერთ[ი] აღმოჩნდა ცნობილი ყაჩაღი კურცხალი[ა] და მეორე ადგილობრივ ერთ ერთ გი[მ]ნაზიის ყოფილი მოწაფე ბეზერიშვილ[ი].

— **იუსტიციის მინისტრმა** განკარგუ[ლ]ება მოახდინა, რათა დაუყონებლ[ივ] დატუსაღებულ იქმნას კალენიკე გოგ[ი]ბერიძე—ტფილისის თვითმართველობ[ის] ხმოსანი და პროფესიონალურ კავშირ[თ]ა ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარე, რ[ო]მელსაც ბრალი ედება შემდეგ მკვლელ[ო]ბათა ორგანიზაციაში: ქართულ კლუბ[ის] ყოფილ მოსამსახურის ჭიჭიკო რუსაძ[ის], პორუჩიკ გაჩეჩილაძის, კაპიტან სოხაძ[ის] დაჭრა, ჯარის-კაცის აკოპიანის დაჭ[რა] და სხ. პორუჩიკ გაჩეჩილაძის მკვლელ[ო]ბაში გოგიბერიძე პირადათ იღებდა მ[ო]ნაწილეობას. ყველა ეს დანაშაული მ[ო]ჩაიდინა რომანიულ ნიადაგზე.

—**დელეგაცია საქართველოს ეროვნულ** [სა]ბჭოს თავმჯდომარეს და გზათა მინისტ[რს] წარუდგა რკინისგზის მოსამსახურეთა დე[ლ]ეგაცია ქუთაისიდან, რომელიც სთ[ხ]ოვს მთავრობას გაასწოროს ის არა ნ[ო]რმალური შემთხვევები, რომელთაც ა[ქ]ვსთ ადგილი რკინის გზაზე შტატის შ[ე]მოკლების და მოსამსახურეთა დათხ[ო]ვნის დროს. ეროვნულ საბჭოს თავმჯდ[ო]მარემ და მინისტრმა აღუთქვა დელეგ[ა]ციას დახმარება.

— **რადგანაც ლაქიების შემოსავალ[ი]** პროცენტების სახით, თვიურად 15 ათა[სს] მანეთს უდრის, კლუბის მამასახლი[ს]თა საბჭომ დაადგინა მოსპოს პროცე[ნ]ტების აღება პურზე, პაპიროსზე [და] სხვა საგნებზე: ქართული კლუბის მოს[ა]მსახურეებმა ამის გამო გაფიცვა გამ[ო]აცხადეს.

— **თათბირი ამიერ კავკასიის რ[კინის] გზის გაყოფის შესახებ.** ამიერ კავკ[ა]სიის რკინის გზების გაყოფის საკითხ[ის] მოსაგვარებლად 30 აგვისტოს გერმანი[ის] მისიის თანხმობით შესდგება საგანგე[ბო] თათბირი, რომელშიაც მონაწილეობ[ას] მიიღებენ ამიერ კავკასიის ყველა რე[ს]პუბლიკის წარმომადგენელნი.

— **16 აგვისტოს გერმანიიდან** თბ[ი]ლისში ჩამოვიდენ სტამბოლის კონფერე[ნ]ციის თავმჯდომარის ამხანაგი ევგ[ენი] გეგეჭკორი, „ერთობის“ რედაქტო[რი] ვლ. ახმეტელაშვილი. ჩხენკელი და ნი[კო]ლაძე. სტამბოლიდან ისევ ბერლინში [და]ბრუნდენ.

— **მილიციის უფროსმა განკარგულ[ე]ბა მოახდინა:** ვინაიდან მილიციის ყა[ლბი] ორდენებით სარგებლობენ, ბოროტ-გ[ან]ზრახველები და, ვითომდა სახლის ს[ა]ხრეკათ მისულნი ახდენენ მრავალ ბ[ო]როტებას, ამიტომ ჩხრეკის წარმო[ე]ბა შეუძლიათ მხოლოდ კომისარიატის [წა]რმომადგენლებს, სახლის კომიტეტის [წა]რმომადგენელისა და მეეზოვის თანად[ასწ]რებით. სახლის კომიტეტის წარმომა[დ]გენელი და მეეზოვე უნდა იცნობ[დე]ნენ მილიციის წარმომადგენელს, რომელ[იც] ჩხრეკას ახდენს. მილიციის უფრო[სი] სთხოვს დაუყონებლივ შეატყობინ[ონ] მას უკანონო ჩხრეკის შესახებ.

— **გერმანიის სამხედრო მისია აცხადე[ბს],** რომ გერმანიის და ავსტრიის ჯარი ბაქ[ოს] ფრონტზე არ არის. და ხმები, რომელ[იც] გავრცელებულია ქალაქში, გერმანი[ის] და ავსტრიის ჯარის ბაქოს ფრონ[ტზე] ყოფნის შესახებ სიმართლეს მოკლე[ბუ]ლია.

— **გერმანიის სამხედრო მისია,** რ[ო]მელიც კავკავში წავიდა საქართველ[ოს] სამხედრო გზით უკანვე დაბრუნდა, რა[დ]გან ზვავის გამო გზა შეკრულია.

— **გერმანიის ჯარი სამხედრო გ[ზა]ზე.** ახლო მომავალში საქართველ[ოს] სამხედრო გზაზე იქნება გერმანიის [ჯა]რის კაცთა ორი როტა, ამ გზის დ[ა]ცავად.

საქართველოს ეროვნულ[ი] საბჭო.

(16 აგვ. სხდომა).

თავმჯდომარეობს ჩხეიძე.

მდივანი კითხულობს კომისიაში [გა]დასაცემ კან.-პროექტებს და დღის წესრ[იგს].

წესრიგი ასეთია: 1. განხილვა კან[ონ]-პროექტისა 1914 წლ. 16 დეკემ[ბრის] დროებითი კანონის ვადის გაგრძელ[ების] შესახებ (ეს კანონი შეეხება ზოგი გ[...]

სახადების, საღერბო სამოსამართლო, გადიდებას).

2. გაგრძელება კამათისა ჩიქოვანის შეკითხვის შესახებ.

3. შეკითხვა ვეშაპელისა ბორჯომის წყლებისა და ტყეების უკანონო ექსპლოატაციის შესახებ.

4. შეკითხვა გაბაშვილისა რკინის გზაზე უწესოების შესახებ.

პირველ კანონ-პროექტს საბჭო ღებულობს უკამათოთ.

იწყება კამათი მეორე საკითხის შესახებ.

ბარათაშვილი (ს.-ფ.) აღნიშნავს, რომ ის ფაქტები, რომელიც აქ მოიყვანა გაბაშვილმა სრულებით არ შეესაბამება სიმართლეს, რომ მან გადახედა გარს ტრიბუნალის საქმეებს და იქ არც ერთი სიკვდილის განაჩენი არ არის. ჩიქოვანმა ვერ დაამტკიცა ფაქტები. და ყველაფერი ის რაც იქ ითქვა ადმინისტრაციის მხრით სამოსამართლო ფუნქციების მითვისების შესახებ არ შეესაბამება ნამდვილ სინამდვილესო (!!).

ჩიქოვანი. მე არ ვფიქრობდი ჩემი შეკითხვისათვის პარტიულობა ხასიათის მიცემას და არ მეგონა თუ ის კინკლაობის საგნათ გადიქცეოდა. მე აღვნიშნე, რომ არსებობს ის სამწუხარო მოვლენა, როდესაც აღმასრულებელი ძალა, სამოსამართლო ფუნქციებს ითვისებს და მოვითხოვდი, რომ ამას ბოლო მოეღებოდა. მე არ ვსდებდი ბრალს მთავრობას, მხოლოდ მოუწოდებდი მას ამ უკუღმართობის წინააღმდეგ საბრძოლველათ. მთავრობის გამოსვლამ დაამტკიცა, რომ ჩვენ არ გვყავს მტკიცე მთავრობა, რასაც ადასტურებს ერთი მინისტრი, იმას უარყოფს მეორე. იუსტიციის მინისტრმა გულწრფელათ აღიარა ასეთი ფაქტების არსებობა და აღგვითქვა მათ წინააღმდეგ ბრძოლა. შინაგან საქმეთა მინისტრმა კი სრულებით უარყო ფაქტები და გამოლმა შემოგვედავა: რატომ შეურიგდი რვა ფაქტს და რატომ არ მაცნობეო. მე იმიტომ კი არ შევურიგდი რვა ფაქტს, რომ ისინი მომწონდა, არამედ იმიტომ, რომ ის მოხდა რღვევის, გარდამავალ ხანაში და მთავრობამ ვერ შესძლო საქმის მოგვარება. მაგრამ, როდესაც დღეს საქმე მოწესრიგებულია, ამას ბოლო უნდა მოეღოს. რაც შეეხება იმას, რომ მე მთავრობისთვის უნდა მეცნობებია, ამის შესახებ მოგახსენებთ, რომ მთავრობას უნდა აცნობო, როცა მან არ იცის. და თუ ადმინისტრაციამ იცის, მე არ ვიცი ვისღა უნდა ვაცნობოთ კიდევ. თუ ყველამ, ვინც რამე იცის შინაგან საქმეთა მინისტრთან მიირბინა, მგონია ეს ძალიან უხერხული იქნება.

შემდეგ ორატორი ეკამათება ნინიძეს, რომელმაც საკითხს გვერდი აუხვია და მთელი მისი გამოსვლა ერთი ფორმალური საკითხის გარშემო ატრიალა. საქმე ის არის, რომ ნინიძე აღნიშნავდა რუსაძის მკვლელობა მოხდა 1 აგვისტოს და ჩიქოვანის შეკითხვას 31 ივლისის თარიღი აზისო. ორატორი აქვეყნებს მოწმობას მიხეილის საავადმყოფოს გამგისაგან მიცემულს, რომელიც ადასტურებს, რომ მოკლულ რუსაძის გვამი იქ მიიტანეს 31 ივლისს.

გაბაშვილი (ერ.-დემ.) განაგრძობს ტრიბუნალებისა და რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლას. უპასუხებს იუსტიციის მინისტრს და ამბობს: თქვენ გეადვილებათ დანგრევა, მაგრამ ამშენებლათ არ ვარგიხართო. ნინიძეს აყვედრის, თქვენ გორის ბანკი გაძარცვეთო. **მესხიშვილი** (იუსტ. მინ.). აღნიშნავს, რომ ტრიბუნალებს ბევრი შეცდომა ქონდათ, მაგრამ სხვა უკეთესი სასამართლო არ იყო ამ რღვევის ხანაში და არც შეიძლებოდა მისი ნაჩქარევათ შექმნაო. ახლა კი შემოიტანეს კანონ-პროექტი სასამართლოს რეფორმის შესახებ და ტრიბუნალები გაუქმებული იქნებაო.

აბხაზი (უპარ.). კითხულობს გრძელ მოხსენებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს შეკითხვებს. ამბობს, რომ შეკითხვებში გამოიხატება სამინისტროს პასუხისმგებლობა. რომ შეკითხვა არ უნდა ეწყინოს მთავრობას და არც მის პარტიასო. ვინაიდან ის არ ეხება საკითხს, თავმჯდომარე მას აჩერებს.

ნინიძე (ს.-დ.). ეკამათება ერ. დემოკრატებს და ამბობს, რომ ისინი არიან კონტრ-რევოლიუციონერები, თავად-აზნაურების წარმომადგენლები. წოდება კონტრ-რევოლიუციონერები— მათ არ უნდა ეწყინოთ, როგორც სიმართლე. ის კითხვით მიმართავს ჩიქოვანს: რას დასტრიალებთ, ბატონებო, ამ ორ მკვლელობას, თქვენც მონაწილე ხომ არა ხართო? (ხმები: სირცხვილია). თავს იმართლებს; მე გორის სამაზრო კომისარი ვიყავი, აღმასრულებელ კომიტეტს არ ქონდა ფულები მილიციონერებისათვის და მან დაადგინა რათა საურთიერთო ნდობის საზოგადოებას მიეცა სესხათ ოცი ათასი მანეთი. სესხის უზრუნველსაყოფათ ჩვენ დაუტოვეთ ამდენივე ფული ჯარის კაცთა ოჯახების დასარიგებელიო. მე წავედი ორი მილიციონერით და რაკი მეტი არ აღმოჩნდა ათი ათასი მანეთი წამოვიღეო. ეს ძარცვა არ არის, ვინაიდან ჩემს ჯიბეში არ ჩასულა ეს ფულებიო.

„დაბოლოს აქვეყნებს თავის ფრაქციის აზრს: ტუსაღების გაუსამართლებლათ დახოცვა ხდება, ასეთი ფაქტები არსებობენ, მაგრამ მთავრობას ბრალი არ ედება. მან უნდა ებრძოლოს ამ მოვლენასო.

ხმის უმეტესობით კამათი შესწყდა. კამათის გათავების შემდეგ ჩვენმა ფრაქციამ შემდეგი მორიგ საქმეზე გადასასვლელი ფორმულა წარადგინა:

„მოისმინა რა მთავრობის განმარტება ტუსაღების გაუსამართლებლათ დახვრეტის შესახებ, ეროვნული საბჭო აღნიშნავს, რომ ასეთი შემთხვევები ეწინააღმდეგება უფლებრივ სახელმწიფოს ელემენტარულ ცნებებს და საჭიროთ სთვლის, რომ მთავრობამ მიიღოს სასწრაფო ზომები თვითნებობისგან მოქალაქეთა დასაცავათ და მართლმსაჯულობის კანონიერ და ნორმალურ პირობებში ჩასაყენებლათ“.

შემოვიდა აგრეთვე რეზოლიუცია: 1) ეროვ.-დემ., რადიკ. დემოკრატების, უპარტიოთა სახელით და ს.-დემოკრატების სახელით. ხმის უმრავლესობით (ს.-დემ. და ფედერალისტები) გადის რეზოლიუცია სოც.-დემ. ფრაქციისა.

ნ. ფულუკიძის გასამართლება

(გაგრძელება).

სხდომა განახლდა საღამოს 5 საათზე. შემოჰყავთ ბრალდებული.

კითხვა. ხომ არ გაქვთ თქვენ თავი დაზიანებული, იქნებ როდისმე მაგრათ მიარტყით რასმეს.

პასუხი. დიაღ მე თავი დაზიანებული მაქვს, გავიტეხე აქ თბილისში ტრამვაიში.

კითხვა. თქვენ ფიცხი ხასიათი ხომ არა გაქვთ? ან და იქნებ როდისმე ავათმყოფობდით ნერვიულ ავათმყოფობით?

პასუხი. დიაღ მე ძალიან ფიცხი ვარ. ბავშვობაზე კი ავათმყოფობდი ეგრეთწოდებულ (მთავარი ავათ.) ავათ ვიყავი ამ ავადმყოფობით მხოლოდ სამჯერ.

— იქნებ გახსოვთ შეიძლება როდისმე ძლიერ აღელდით, თავდავიწყებამდის, და ჩაიდინეთ ისეთი რამ, რასაც თქვენ არ მოელოდით?

— დიაღ, მახსოვს.

— ვლ. გობეჩიას თქვენ იცნობდით.

— ვიცნობდი, მაგრამ მასთან არავითარი საქმე არ მქონია. რეკვიზიციის შესახებ კი მასთან არავითარი ბაასი არ მქონია. მკვლელობის დღეს კი მე ძალიან დაღლილი ვიყავი...

თავმჯდომარე, (ბრალდებულს) უპასუხეთ მხოლოდ კითხვაზე.

— რაში გამოიხატებოდა თქვენი ნერვიული ავათმყოფობა.

— როდესაც მე ვლადივასტოკში ვიყავი წამერთვა მთელი ზურგი და მარცხენა ფეხი. ვგრძნობდი ტკივილებს. ექიმებმა მირჩიეს ჰაერის გამოცვლა და მართლაც, როგორც კი მოვშორდი ვლადივასტოკს, ორი სამი დღის შემდეგ ტკივილებმა გადამიარა. პეტროგრადშიც გავხდი ავათ. ექიმებმა მითხრეს, რომ ეს ნერვიული ავათმყოფობის შედეგიაო.

— თავი გტკიოდათ თქვენ მაშინ?

— თავის ტკივილს არ ვგრძნობდი.

— უძილობით ხომ არ ყოფილხართ ავათ, ან. თავის ბრუალი ხომ არ გქონიათ?

— უძილობით 20 წელია რაც ავათ ვარ. თავის ბრუალიც ხშირათ მაქვს.

— როგორ მოკვდა თქვენი მამა?

— როგორც გადმომცეს ავათმყოფობის შემდეგ. ნამდვილათ კი არ ვიცი.

— ძმები თქვენ გყავთ?

— ერთმა ჩემმა ძმამ თავი მოიკლა.

— თქვენ, რომ დანაშაულობა ჩაიდინეთ ფხიზელი იყავით თუ არა.

— მე მთვრალი ვიყავი.

— რამდენი ღვინის დალევა შეგიძლიათ თქვენ?

— როდესაც მე დაწყნარებული ვარ სამი ბოთლის დალევა შემიძლია და ძალიან წყნარადაც ვარ. მაგრამ როდესაც დავიღლები მაშინ 3—4 ჭიქა ღვინო მათრობს. როდესაც მკვლელობა ჩავიდინე იმ დღეს ძალიან დაღლილი ვიყავი და ცოტა ღვინოც დავლიე.

— თქვენ ხომ არ შეგიმჩნევიათ როდისმე გრძნობების სისუსტე თქვენში?

— როდესაც წიგნებს ვკითხულობდი ხშირათ ავტირდებოდი ხოლმე.

— თქვენ ხომ არ გაქვთ მიდრეკილება გარყვნილ ცხოვრებისაკენ.

— როდესაც კამპანიაში ვარ. მაგრამ ქეიფს მე არ ვეძებ. მხოლოდ თუ შემხვდება ხოლმე.

— როდის გაიცანით თქვენ იოსებ გობეჩია?

— მე მას არ ვიცნობდი, მხოლოდ მაჩვენეს ერთხელ.

— ვლ. გობეჩიას ჰქონდა რაიმე კავშირი ბინის რეკვიზიციასთან?

— არა.

სამოქალაქო ვექილი. ვინაიდან მე წინააღმდეგობას ვხედავ პასუხში, რომელიც წულუკიძემ მისცა გამომძიებელს და ეხლანდელ პასუხების შორის მე მოვითხოვ, რომ წაკითხულ იქნეს ოქმი გამოძიების.

თავმჯდომარე კითხულობს ოქმს.

ამის შემდეგ იწყება მოწმეების დაკითხვა. დარბაზში უძახიან მოწმეებს. ფორმალურ მხარეების შესრულების შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს: მოწმეები კრუჩინინი და ბრალდებულის მეუღლე, თუ მოისურვებენ განთავისუფლებულ იქნებიან დაკითხვიდან. მოწმეები დაკითხვაზე არ ამბობენ უარს. მოწმეები სტოვებენ დარბაზს, რჩება მხოლოდ იოს. გობეჩია.

მოწმე თხოულობს, რომ სასამართლომ ნება დართოს მას შეეხოს იმ ინციდენტს, რომელიც მოხდა პირველ სხდომაზე მისა და ზელენსკის შორის. სასამართლო არ აკმაყოფილებს თხოვნას.

— მე ჩამოვედი პეტროგრადიდან შარშან, დანიშნული ვიყავი ფრონტის კომისრად. ბინად ვიყავი სასტუმრო ორიანტში. ჩემი, აწ განსვენებული, ძმა ჩამოვიდა ჩემს შემდეგ და ისიც სასტუმრო ორიანტში სცხოვრობდა. ჩვენ ჩავებით საერთო პოლიტიკურ მუშაობაში და თავისუფალი დრო ძალიან ცოტა გვქონდა. ხშირათ გამოგვითქვამს ჩვენ სურვილი ბინის შოვნის, მაგრამ დროს უქონლობის გამო პრაქტიკული ზომები ვერ მივიღეთ. ამ დროს ჩამოვიდა ექიმი აბაკელია, რომელიც ხშირად დაიარებოდა ჩვენთან.

ისიც უბინაოთ იყო. მას უნდა გაეხსნა საექიმო კაბინეთი. მაგრამ ვერ მოახერხა.

ერთხელ, როდესაც მე ოთახში ვისხედი, შემოვიდა ჩემთან აბაკელია და სიხარულით მითხრა, ეხლა კი შეგვიძლია ჩვენ დავბინავდეთ, თავისუფალი სახლი იშოვებაო.

საქმე შემდგში ყოფილა.

ჩემი და, თურმე მიდიოდა ლორის მელიქოვის ქუჩაზე. მას დაუნახავს, რომ ერთ სახლიდან გადაჰქონდათ ბარგი და უფიქრნია, რომ ალბათ ამ სახლს ანთავისუფლებენო. შესულა სახლში და უთქვამთ, რომ სახლი ქირავდებაო. ისიც წამოსულა და ჩვენ გვამცნო ეს.

როგორც კი გავიგე ეს ავდექით და წავედით მე, იოს. აბაკელია და ჩემი და. მივედით, დავრეკეთ მაგრამ სახლში არავინ აღმოჩნდა. ამ დროს მოვიდა კიდევ ვიღაც ოფიცერი, რომელსაც უნდოდა ამ სახლის ქირაობა. ჩვენ დავუძახეთ მეეზოვეს და უთხარით, რომ ჩვენ ვართ მოსული პირველათ და ვსთხოვეთ შეეტყობინებია სახლის პატრონისათვის, რომ ჩვენ გვინდა სახლის ქირაობა. და რადგან მსურველები სახლზე ბევრი აღმოჩნდებოდა, ჩვენ შევიტანეთ ქალაქის თვითმართველობის ბინის განყოფილებაში განცხადება, რომ მოეცათ ჩვენთვის ნებართვა ამ ბინის დაკავებაზე, ვინაიდან ვისაც ეს ნებართვა ექნებოდა მას ეძლეოდა უფლება ამ ბინის დაკავების. ჩვენ ეს ქაღალდი ავიღეთ და მე და აბაკელია წავედით სახლის პატრონთან მოსალაპარაკებლათ. სახლში რომ შევედით დაგვხვდა ბრალდებულის მეუღლე. ჩვენ მას განვუცხადეთ, რომ ბინის ქირაობის უფლება გვაქვს ჩვენ და სათანადო ქაღალდიც გვაქვს ქალაქის თვითმართველობიდან. ეს რომ გაიგონა მან არ ესიამოვნა, (რადგან როგორც შევიტყვე მას უნდოდა ბინაში დიდი ფასის აღება, რეკვიზიციის დროს კი მას არ ჰქონდა უფლება დაწესებულ ნორმაზე მეტი მოეთხოვნა.) ყოველივე უსიამოვნების თავიდან ასაცდენათ, აბაკელიამ აიღო და დახია სარეკვიზიციო ქაღალდი და უთხრა. „ეხლა ჩვენ თავისუფლათ ვილაპარაკოთო“.

ამის შემდეგ ჩვენც შევთანხმდით. მხოლოდ მან გვითხრა. „ჩემს ქმარს ხშირათ დასჭირდება თბილისში ჩამოსვლა და-სასტუმროში ფული რომ არ იხადოს ჩვენთვის დარჩეს ორი ოთახიო. ჩვენ რაღა თქმა უნდა ამაზე დავთანხმდით და წინდაწინ ფულიც კი მივეცით.

ამის შემდეგ ბინაზე გადავიდა დედა და ჩემი და. აბაკელია კი შეუდგა საექიმო კაბინეტის მოწყობას, მაგრამ ბინაზე კი არ გადასულა. არც ჩვენ, მე და ჩემი ძმა არ გადავსულვართ.

როდესაც დედა-ჩემი იქ დაბინავდა, ჩვენ ყოველ დღე ნასადილევს საღ. 5—6 საათზე დავდიოდით მის სანახავათ, მაგრამ დიდ ხანს კი არ ვჩერდებოდით. ჩემი ძმის მკვლელობის დღეს ჩვენ ჩვეულებისამებრ ნასადილევს წავედით დედის სანახავათ. სახლს რომ მივუახლოვდით, დავინახეთ, რომ სახლიდან გამოაქვთ ბარგი და აწყობენ იქვე ავტომობილში. ავტომობილში ისხდა ვიღაც სამი უცნობი ახალგაზდა.

ჩვენ მივუახლოვდით ფანჯარას და ქუჩიდან დავუწყეთ საუბარი დედას. ამ დროს ავტომობილიც დაიძრა და დავინახეთ, რომ წულუკიძე უცებ გადმოხტა ავტომობილის უკანა ნაწილიდან და გამოიქცა ჩვენსკენ. ჩვენც წავიწიეთ მისკენ ერთი ნაბიჯით და ვკითხეთ „რაშია საქმე“. მან პასუხათ მოგვცა: „რაშია საქმე და თქვე სოციალისტებო“...—ამის თქმა და რევოლვერის გასროლა ერთი იყო. მე დავინახე, რომ ჩემმა ძმამ იტაცა მუცელზე ხელი და უკან დაიხია. მე მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ის დაჭრილია და მას შველა უნდა. მეც გავიქეცი ეტლის მოსაყვანათ და არ მიმიქცევია ყურადღება წულუკიძისათვის“.

— იცნობდით თქვენ წულუკიძეს?

— არა მე მას არ ვიცნობდი. მხოლოდ ერთხელ ვნახე გოლოვინის პროსპექტზე. გაჩერებული ვიყავით მე, ჩემი ძმა და თუმანოვი გაზ. „ვოზრაჟდენიეს“ რედაქტორი და ვბაასობდით პოლიტიკურ თემაზე. ამ დროს მოგვიახლოვდა ვიღაც ჩოხიანი, გაჩერდა ჩვენთან და ყველას ჩამოგვართვა ხელი. როდესაც ერთი მეორეს დავშორდით, მე ვკითხე ჩემ ძმას ვინ იყო ის ჩოხიანი. მან მიპასუხა, რომ ის ჩვენი ბინის პატრონი, წულუკიძე არისო. მეტი მე ის არ მინახავს.

— იცოდით თქვენ, რომ წულუკიძეს არ სიამოვნებდა, რომ თქვენ მის ბინაში დგეხართ.

— მე ეს გავიგე არაბიძისაგან, რომელმაც მითხრა „დაანებეთ თავი იმ ბინას, თორემ უსიამოვნება შეგხვდებათო. გარდა ამისა მკვლელობის დღეს გვაზავას ქალისათვის უთქვამს წულუკიძეს, რომ მე კაცი არ ვიქნები თუ გობეჩიები და აბაკელია არ მოვკალიო. გვაზავაც წამოსულა ჩვენთან, რომ გავეფრთხილებიეთ, მაგრამ გზაში აგვცდა.

— იყო თუ არა მთვრალი წულუკიძე, როდესაც მკვლელობა ჩაიდინა?

— როგორც მე შევატყვე, ის ფხიზელი იყო.

— რა გითხრათ მან თქვენ.

— ორი სიტყვის მეტი არაფერი უთქვამს.

ვექილი ჭაბრიშვილი. თქვენ კი გამომძიებელს უთხარით, რომ წულუკიძე რომ მოგიახლოვდათ არაფერი უთქვამს და უსიტყვოთ ისროლა რევოლვერი.

— გამომძიებელმა მე დამიბარა სწორეთ უბედურ შემთხვევის დღეს, როდესაც მე ძალიან აღელვებული ვიყავი, და თუ მას უთხარი, რომ წულუკიძეს არაფერი უთქვამს ეს მხოლოდ იმ აზრით, რომ ასეთ შემთხვევას უნდა წინ უძღოდეს ყოველ შემთხვევაში რაიმე ლაპარაკი და ასეთი ლაპარაკი კი არ ყოფილა.

მოწმე ი. **აბაკელია**.

— როგორ გხვდებოდათ თქვენ წულუკიძე?

— ძლიერ კარგათ. ჩვენ მასთან რაიმე დამილევია.

— გამოსთქვამდა ის რაიმე უსიამოვნებას თუ არა?

— კი გამოსთქვამდა. თუ გნებავთ, გეტყვით რისთვის, მხოლოდ დახურეთ კარები.

ბრალდებული. თუ აბაკელიას არ უნდა ამის თქმა, მე ვიტყვი. მე მას უთხარი: „კაცო, ქალი უნდა მოვიყვანო მეთქი“. მაგრამ მას ცუდათ გაუგია. ქალი ქართულათ ნიშნავს ცოლს.

აბაკელია. რადგან ამის გამომჟღავნება მოისურვა თვით ბრალდებულმა, მე ვიტყვი სიმართლეს. მან მითხრა. „უხერხულია, როდესაც სახლში ქალები სცხოვრობენ და ამ დროს ქალებს მოიყვანო“.

მოწმე **მინადორა გვაზავა**.

— თქვენ იცნობდით ვლ. გობეჩიას?

— მე მას ვიცნობდი მრავალ წლების განმავლობაში.

— ხშირათ მოდიოდა წულუკიძე მთვრალი სახლში?

—მთვრალი კი მოდიოდა, მაგრამ ძალიან წესიერათ ეჭირა თავი.

— იცნობდით წინეთ წულუკიძეს?

— არ ვიცნობდი, მხოლოდ ბევრი გამიგონია მისი „კარგი კაცობაზე“.

— მკვლელობის დღეს ნახეთ თქვენ წულუკიძე?

— იმ დღეს მე მის ოთახში ვიყავი. ის ძალიან უხეშათ მელაპარაკებოდა. ძალიან გულმოსული იყო. მის ოთახში იყვნენ ვიღაც ორი ახალგაზდა. მათ ესმოდათ ჩვენი ლაპარაკი. მისი შვილი ეზიდებოდა ბარგს და აწყობდა ავტომობილში. წულუკიძე კი ამბობდა: „ჩემი დედა იყოს ჩემი ცოლი თუ ისინი არ მოვკალიო. ძვირად დაეუჯენ მე მათ ჩემი სახლის წართმევასო“. ეს გაიმეორა ოთხჯერ. მეც ვიგრძენი, რომ კარგი რამე არ მოხდებოდა და გავიქეცი გამეფრთხილებია იოსები და ვლად, გობეჩიები. ისინი სადილობდნენ ბარიათინის ქუჩაზე ჩიქოვანთან. რომ შეველი სახლში მითხრეს, რომ ჩიქოვანი სადილობსო. მეც ვიფიქრე, რომ ალბათ გობეჩიებიც სადილობენ და კარში დავიცადე. ცოტა ხნის შემდეგ მომესმა სროლა. სწორეთ მაშინ მოხდა ეს უბედურება.

— განსვენებულის დედამ იცოდა, რომ წულუკიძე იმუქრებოდა?

— იმ საღამოს სანამ წავიდოდი მის გასაფრთხილებლათ მე წულუკიძის სიტყვები გადავეცი დედას და დას, მაგრამ მათ სთქვეს, როგორ შეიძლება, რომ წულუკიძემ რამე ცუდი ჩაიდინოსო.

ამის შემდეგ სხდომა აგდაიდო მეორე დღისათვის.

(გაგრძელება იქნება).

ომი.

ბერლინი, 16 აგვისტო. ომის ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. კემელთან და ვიე ბერგიონთან საავანპოსტო ბრძოლაა. მტრის ძლიერი იერიშები ლისის სამხრეთით ეიეტთან და ანკრის ჩრდილოეთით ჩვენ მოვიგერიეთ.

გენ. ბომეს ლაშქარი. რუანის დასავლეთით და ნუაიონის სამხრეთ-დასავლეთით ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. რომელსაც მოჰყვა მტრის იერიშები, ავრის ორივე მხრით და სიმაღლეებზე უაზის აღმოსავლეთით. ტიეკურის სამხრეთით მტერს დარჩა პარკი ატტე.

სხვა შემთხვევებში ჩვენ მოვიგერიეთ მტრის ყველა იერიშები. დიდი ზიანი ჰპოვა მტერმა ბრძოლებში ლასინთან. აქ მტერმა 6-ჯერ განიზრახა შტურმი, მაგრამ ათი საათის ბრძოლის შემდეგ უკან დავახევიეთ.

გერმანიის კრონპრინცის ლაშქარი. ვესლასთან არტილერიის მოქმედება საგრძნობლათ გაძლიერდა საღამოთი.

ვენა, 16 აგვისტო. ომის ცნობა. იტალიის ფრონტი. იტალიელების ახალ იერიშები ჩვენ პოზიციების წინააღმდეგ მათთვის უშედეგოთ დამთავრდა. ტონალეს მიდამოებში გუშინ სიწყნარე იყო.

ალბანეთის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

სტამბოლი, 16 აგვისტო. ომის ცნობა. ზოგ ადგილებში საარტილერიო ბრძოლა გაცხოველდა. მედინის სამხრეთ დასავლეთით 10 აგ. ისტოდან დაიწყო საარტილერიო ბრძოლა და გაგრძელდა 11 აგვისტ. საღამომდე. ღამით 12 აგვისტოს მტერმა დასტოვა თავის პოზიციები და უკან დაიხია.

სხვა ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

პარიზი, 16 აგვ. ომის ცნობა. გასულ 24 საათის განმავლობაში ფრანგებიე ჯარმა შეავიწროვა გერმანელები სუანის დასავლეთით. ავრის ჩრდილოეთით ფრანგებმა გადიტანეს თავის პოზიციები კუალენკურ-სენ-მორდინ-ტროი - ლიუკურის ხაზზე. ავრის სამხრეთით ფრანგები შეიჭრენ ლოაქესის ტყეში.

სხვა ფრონტებზე საყურადღებო ცვლილება არ მომხდარა.

უცხოეთი.

რუსეთი.

მოსკოვი 14 აგვისტო. (გადაცემულია მოსკოვის რადიო სადგურით ფრანგულ ენაზე) რუსეთის წარმომადგენელს იოფფეს, ბერლინში. თუმც ინგლისს-საფრანგეთის კაპიტალის ყაჩაღები ფეხ ქვეშ სთელავენ ყოველგვარ უფლებას და სამართლიანობას, ხვრეტენ და ატუსაღებენ რესპუბლიკის სამხედრო წარმომადგენლებს, მაგრამ ჩვენ მათ ამითვე არ ვუპასუხებთ. საბჭოთა მთავრობამ გამოაცხადა რომ მოკავშირეთა დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგელებს მიეცემათ უფლება წავიდენ ბალტიის ზღვით პეტროგრადიდან სტოკჰოლმში. თუ ნებართვას მისცემენ რუსეთის წარმომადგენლებს დაბრუნდენ ინგლისით.

საფრანგეთის სამხედრო მისიის წარმომადგენლები მიიღებენ წასვლის უფლებას მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთიდან დაბრუნებულ იქნებიან რუსის ჯარის კაცები. კიევი, 15 აგვისტო. უკრაინის ფინანსთა მინისტრმა განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ უკრაინაში უნდა მოიკრიბოს ამ მოკლე ხანში 500.000,000 საშინაო სესხი. სურსათის მინისტრმა განაცხადა, რომ უკრაინის მთავრობის უახლოესი მიზანია შეასრულოს ის ვალდებულება, რომელიც დადებულია ცენტრალურ სახელმწიფოებთან ბრესტში.

გოლშევიკები და ჩეხოსლოვაკები.

მოსკოვი, კრემლი. ცენტ. აღმ. კომიტეთთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის ბიურო იუწყება:

ჩეხო-სლოვაკების ფრონტზე ალაპაევრის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს სადგური ანტრაციტი და მიიწევენ წინ ირბიტისაკენ. ტაზელის მიმართულებით მოწინააღმდეგე უკან იხევს. ნიკოლაევის მიმართულებით მტერი დავამარცხეთ და გავფანტეთ. ჩვენ ხელთ ვიგდეთ სამხედრო მასალა. ჩვენი ჯარები უტევენ სიზრანს და მიუახლოვდენ სიმბირსკს. ყველა თავის პოსტებზეა.

ვოლოგდიდან იუწყებიან, რომ ინგლის-საფრანგეთის შეტევის დროს დაიღუპენ საგუბერნიო აღმას. კომიტეტის წევრნი ზენკევიჩი, სამხედრო კომისარი და სხვები.

ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ მიმართულებით ბოლშევიკების ჯარი უტევს ონეგას. ყაზანის რაიონში ბრძოლაა.

ბოლშევიკური ჯარი იძულებული გახდა უკან დაეხია არხანგელსკიდან ხოლმოგორამდე, რადგან რკინის გზა დაიკაეს ინგლისელებმა.

ციმბირი.

ციურიხი. 10 აგვ. ვლადივოსტოკიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ჩეხოსლოვაკები იქ კრიტიკულ მდგომარეობაში არიან. ისინი თხოულობენ დახმარებას, რადგან მათ წინააღმდეგ ილაშქრებს ბოლშევიკების დიდი ჯარი.

გერმანეთი.

ბერლინი, 15 აგვ. გავასის სააგენტოს კორესპონდენტი საფრანგეთის ფრონტზე იუწყება, რომ გერმანეთის ჯარი სასტიკ წინააღმდეგობას უწევს საფრანგეთის ჯარის შეტევას და აჩერებს მას. გერმანიის არტილერიის მოქმედება გაძლიერდა.

ზავის გარშემო.

კელნი, 15 აგვ. სტატს-სეკრეტარი განცე ყარყოფს გაზ. „კელნის გაზეთ“-ის თანამშრომელთან საუბარში ლლოიდ ჯორჯის მტკიცებას, რომ ცენტრალურ სახელმწიფოებმა უარყვეს შეთანხმების სახელმწიფოთა საზავო წინადადება. განცე, პირიქით, ამტკიცებს, რომ შეთანხმების სახელმწიფოები არიან იმპერიალისტები და ზოგის წინააღმდეგ და არა ცენტრალური.

უკრაინის ამბები.

ჩვენს რედაქციას ეწვია უკრაინიდან ახლად ჩამოსული ს. თ. ს—კო.

იგი განსაკუთრებული დავალებით არის ჩვენში ჩამოსული.

მან უკრაინის ცხოვრებიდინ ბევრი ჩვენთვის სრულიად ახალი ამბავი გვიამბო.

უკრაინაში მომხდარ რკინის გზის გაფიცვის შესახებ სთქვა, რომ „ეს მოაწყო ფარულმა კომიტეტმა: გაფიცვა 17 ივლისს გამოცხადდა.

ამ გაფიცვის გამო ცენტრალურმა კომიტეტმა განაცხადა, რომ ეს არ არის წინდაწინ მოწყობილი, არამედ სტიქიურია და მის სალიკვიდაციოთ ყოველი ზომებია მიღებული.

გაფიცვა მოხდა უმთავრესად რკინის გზის მოსამსახურეთა ჯამაგირის მიეულებლობის ნიადაგზე. ჯამაგირი კი ვერ მისცეს იმიტომ, რომ საქონლის გაგზავნგამოგზავნის შემცირების გამო რკინის გზის შემოსავალმა ოთხჯერ დაიკლო და არც ტარიფია მომატებული. ეხლა კი გაადიდეს, რომ ამით მოწესრიგდეს დეფიციტის ანაზღაურება. საერთოდ, რომ ხაზინის შემოსავალმა იმატოს მაგარ სასმელებზე მონოპოლიასაც აარსებენ. ფული კი უკრაინისათვის ლეიპციგში აბეჭდება.

არის ხმები, რომ რკინისგზის გაფიცვა უმთავრესად მიტომ მოხდა, რომ გერმანელებს ხელი შეუშალონ პურის გაზიდვაშიო, თუმცა მათ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით მოსავლის 80 პროც. წაღების უფლება აქვთ.

მოსავალი შუათანაა, ზოგან კი ძალიან კარგი. გერმანელებს სოფლებში და საერთოდ გლეხთა შორის სურსათის რეკვიზიცია არ მოუხდენიათ, გააქვთ უმთავრესად დიდი საწყობებიდან.

გარეშე ელემენტები აგიტაციით მოეფინენ მთელ მხარეს, რომ მომავალისთვის არა დაეთესათ რა, და რომ ამ აგიტაციას ნიადაგი არ მომაგრებოდა ჩაერივნენ საქმეში და აიძულეს ყანების დათესა.

ცენტრალურ რადას მიერ გამოცემული დეკრეტი მიწის შესახებ, სადაც უმრავლესობა ესერები იყვნენ, უარყოფილია. მიწის საკითხს ხელახლად გადასწყვეტს სეიმი.

რაც შეეხება სასურსათო საქმეს, ის ეხლა რამოდენიმეთ მოგვარებულია, მაგალითად, ქერის ფქვილი ღირს 35 მან., —პურის 45 მან. ქალაქებში ფასი კი ცოტა მომატებულია, თუმცა საერთოთ სპეკულიაცია ძალიან დიდია.

ჰეტმანის მთავრობა ამ ჟამად მხოლოდ გერმანელ ჯარებს ემყარება, რომლის რაოდენობა თითქმის ნახევარ მილიონამდე აღწევს და სხვა და სხვა ქალაქებშია დაბანაკებული. ხერსონში კი ავსტრო-უნგრეთის ჯარები სდგას.

თავისი ნამდვილი ჯარი კი უკრაინას ჯერ არ ჰყავს. მხოლოდ ეხლა აგროვებენ, ამზადებენ, რაზმებს ადგენენ, რომლის მოწყსრიგება მხოლოდ შემოდგომისათვის დამთავრდება.

საერთოდ უკრაინაში აღმშენებლობის პროცესი სწარმოებს, მხოლოდ ცოტათი ხელს უშლის დონის მხარე, რომელსაც არ სურს უკრაინასთან დამოკიდებულება იქონიოს რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის განმტკიცებამდე.

ნაციონალური უმცირესობა შევიწროებულად გრძნობს თავს, რადგან სეიმმა კულტურულ-ეროვნული ავტონომია უარჰყო, რომელიც წინად ცენტრალური რადის მიერ დამტკიცებული იყო.

ამის გამო უმცირესობათა წარმომადგენლებში უკმაყოფილებაა, განსაკუთრებით ველიკოროსებში, როგორც ყველგან, რადგან ვერ შერიგებიან გუშინდელ ბატონობის შეხლუდვას.

ჰეტმანის მთავრობა სოციალისტ-რევოლიუციონერების წინააღმდეგ მოქმედებს, რის გამოც ეს პარტია არალეგალურ მდგომარეობაში ჩავარდა: ისინი წითელ ტერორს არ აწარმოებენ, როგორც ავრცელებენ ხმას.

ეიხგორნის მოკვლა კი მოსკოვის მემარცხენე ესერების საქმეა.

როგორც გზაში გავიგე მოკლულ ეიხგორნის მაგიერ გერმანიას თავის ჯარების უფროსად კირბახი დაუნიშნავს.

საერთოდ გერმანელები არ არიან კმაყოფილნი. თუმცა უმრავლესობა იმ აზრისა არის, რომ ვინც უნდა იყოს, ოღონდ წესრიგი აღადგინოს.

ხელშეკრულების რატიფიკაცია უკვე მოხდა. უკრაინის საერთაშორისო მდგომარეობა ცენტრალურ სახელმწიფოების მიერ აღიარებულია, მხოლოდ ავსტრო-უნგრეთს არ დაუცია დასტური გალიციის საკითხის გამო.“

ჩვენს შეკითხვაზე: როგორია მოსაზღვრე სახელმწიფოებთან დამოკიდებულება, ს. ს—კომ გვიპასუხა:

„რუმინიის მიერ ბესარაბიის ანექსიის გამო უკრაინის მთავრობამ რუმინიას პროტესტი გამოუცხადა.

ყირიმის მხარე ცალკე რესპუბლიკათ მოეწყო; პრეზიდენტათ სულეიმან სულკევიჩია არჩეული, რომლის მთავრობაც სიმფეროპოლში იმყოფება.

მოსაზღვრე ბელოროსიაც თითქო დამოუკიდებელი რესპუბლიკაა, მაგრამ მაინც რუსეთის დიდ ფედერაციას ებღაუჭება. თუმცა ნახევარი მხარე ნემცებით არის დაკავებული,

ველიკოროსიასთან კი უკრაინას ამ ჟამად საკონფერენციო მოლაპარაკება აქვს გამართული, სადაც უკრაინის წარმომადგენლებმა ველიკოროსებს ანგარიში წარუდგინეს ბოლშევიკური მოძრაობის მიერ მიყენებულ ზარალის ანაზღაურების შესახებ.

ველიკოროსები ძალიან სცდილობენ ამ ანგარიშის შემოკლებას; მაგრამ უკრაინელ დელეგაციის თავმჯდომარე ბელუხინი არაფერს არ უთმობს.

უკრაინიზაციის შესახებ ბატონ ს—კომ გვიპასუხა: უკრაინულ რადის მიერ დამტკიცებული დადგენილება, რომ ვისაც დაწესებულებებში სამსახური სურს სამი თვის ვადაში შეისწავლონ უკრაინული ენაო, ეხლა ეს დადგენილება შეიცვალა ამ რიგათ, რომ შეიძლება ორივე ენის (რუსულისა და უკრაინულის) ხმარება იმ დაწესებულებებში, სადაც ზოგიერთ უწყებების უფროსნი რუსები არიან, მაგალითად როგორც მიწად მოქმედების სამინისტროში, მინისტრი კოლოკოლცევი და ფინანსთა სამინისტროში რეჟეპეცკი. თუმცა სახელმწიფო მდივანმა ბრძანება დაგზავნა რადგან მთარგმნელები არ ჰყავს ყველა ქაღალდები უკრაინულ ენაზე აწარმოეთო.

საქართველოს რესპუბლიკასთან უკრაინის საელჩოს წარმომადგენელათ უნდა დაინიშნოს ერევნის სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე ბ. კულინსკი, რომელიც აპირებდა აქეთკენ გამომგზავრებას, მაგრამ მოძრაობის შეწყვეტის გამო ალბათ დაიგვიანებს.

უმთავრესი ჩემი მისია არის აქედან წამსვლელ უკრაინელების მგზავრობის მოწყობა და გემების დაკვეთა, რისთვისაც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან სათანადო შუამდგომლობას აღვძრავ.

აგრეთვე უნდა მოვაწყო არტაანის ოლქში მყოფ დუხაბორების გადაყვანა.

აქ ჩვენი კონსულის მაგივრობას დროებით გასწევს ბ. ხომენკო.

ასე დაამთავრა ამ ახლო ხანებში მომხდარი უკრაინის ამბები და თან დაგვპირდა, რომ უკრაინიდან მიღებულ ყოველივე ოფიციალურსა და საგულისხმიერო ამბავს, როგორც კი მოსახერხებელი იქნება, ამწამსვე დაწვრილებით გაცნობებთ.

„ხ. რ.“

სავალდებულო დადგენილება.

ხოლერასთან საბრძოლველ თანხის შესადგენად თბილისის თვითმმართველობის საბჭო აწესებს ერთდროულ გადასახადს შემდეგის წესით:

1. საავჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა პატრონთ გადახდებათ 1918 წლის სახელმწიფო სამრეწველო გადასახადის 20 პროც.

2. საავჭრო თუ სამრეწველოების პატრონნი, რომელნიც სახელმწიფო სამრეწველო გადასახადს არ იხდიან (მეოთხე ხარისხის ვაჭარნი და მეშვიდე და მერვე ხარისხის მრეწველნი) იხდიან ერთდროულად 40 მან.

3. იმ მოვაჭრეთ, რომელთაც მუდმივი ბინა არა აქვთ სავაჭროთ და ამიტომ ან ხელზე ვაჭრობენ, ან გადააქვთ და გადმოაქვთ საქონელი, ერთდროულად გადახდებათ 25 მან.

4. ქუჩაში მომუშავე ხელოსანნი, ფეხსაცმელის მწმენდავნი, სურათების გადამღებნი და სხ. იხდიან 15 მან.

5. ეტლებზე მომუშავენი იხდიან: ა. მგზავრთა გადამზიდავ ეტლზე 50 მან. ბ. ბარგის გადამზიდავ წყვილ ცხენიან ეტლზე 40 მ. გ. ცალ-ცხენ. ეტლზე 30 მ. დ. ბარგის გადამზ. ერთ უღელ კამეჩზე 40 მან. ე. ბარგის გადამზიდავ ერთ უღელ ხარზე 30 მან. ვ. მოვაჭრენი ან ბარგის გადამზიდავნი, რომელნიც ან ვირზე ეზიდებიან საქონელს ან ტაჩკაზე—თითო ვირზე იხდიან 10 მ. ზ. ბარგის გადამზიდავ თითო ცხენზე 15 მან.

6. გარდა იმ გადასახადისა, რომელიც პირველ მუხლში მოხსენებული, სამიკიტნოების პატრონთ გადახდებათ საქალაქო გადასახადის 10 პროც.

7. იმ პირთ, რომელნიც ან ყოველთვიურ ჯამაგირს იღებენ, ან ყოველთვიურ შემოსავალს—გადახდებათ ენკენისთვის შემოსავალის 20 პროც. თავისუფალ პროფესიის პირთ—თვიური შემოსავალის 20 პროც.

8. საზოგადო, სახელმწიფო და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა გამგენი და მმართველობანი, თუ მათში მოსამსახურეთა საერთო რიცხვი ოც კაცზე ნაკლები არ არის, მოვალენი არიან ენკენისთვეში შეადგინონ მოსამსახურე პირთა სია, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს—რა ერგება ენკენისთვის განმავლობაში ყოველ მაჟანს და რა გადახდა ერთ დროულად 20 პროც. ვარაუდით.

9. კლუბებსა, რესტორანებს და სხ. ამგვარ დაწესებულებებში ყოველ ანგარიშის საერთო ჯამს, ხოლერის მოსპობამდის ემატება 10 პროც. ხოლერასთან საბრძოლველ თანხის გასაძლიერებლად. პირველ ხარისხოვან რესტორანებს 10 პრ., დაბალ ხარისხოვანთ 5 პრ.

10. გადასახადი ეწერება ყველა იმ პირთ, რომელნიც ყოველდღიურ ვაჭრობის ნებართვის ასაღებათ ქალაქის თვითმმართველობის მარკებს იღებენ. ის პირნი, რომელნიც ენკენისთვის განმავლობაში ორ მანეთიან მარკას აიღებენ, მოვალენი არიან სანიტარული ფონდის გასაძლიერებლად ათ შაურიანი მარკაც აიღონ.

ვინც 1 მ. 50 კ. მარკ. აიღებს—30 კ.
„ 50 „ „ „ —15 „

11. ის პირნი რომელნიც ამ დადგენილების მესამე მუხლში არიან მოხსენებულნი, თუ ვინიცობაა არ გადიხდიან კუთვნილ ფულს, 1919 წ. განმავლობაში ვაჭრობის უფლებას ჰკარგავენ.

12. ის პირნი, რომელნიც თავის ნებით გადიხდიან 15 მან. ან მეტს, განთავისუფლებულ იქნებიან ყოველი შემოსავალის რაოდენობის ჩვენებისაგან.

13. სიტყვა შემოსავალი ჰგულისხმობს ყველა თანხას, რომელიც კი მისაღები აქვს გადამხდელს. ენკენისთვის განმავლობაში ხარჯების გამოუკლებლივ.

14. იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახი ერთი პირის ხარჯით არ ინახება, ქმარი, ცოლი და ოჯახის სხვა წევრი ცალ-ცალკე უნდა იყვნენ ნაჩვენები.

15. ის პირნი, რომელნიც დაარღვევენ ამ დადგენილებას—ან დამალავენ შემოსავლის რაოდენობას, ან არ გადიხდიან კუთვნილ ფულს მომრიგებელ მოსამართლეთა დებულების 29 მუხლის ძალით დაისჯებიან (დროებითი მთავრობის 18 მარტის 1918 წლის რედაქციით).

16. იმავე მუხლის ძალით იქნებიან დასჯილნი სახლის პატრონნი და სახლთა კომიტეტების თავმჯდომარენი, თუ ვინიცობაა არ შეასრულებენ ხსენებულ ხარჯის ასაკრეფ წესდებებს.

17. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოცხადებისა.

18. დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ თუ როგორ და რა წესით გადახდებათ მოქალაქეთ გადასახადი ცალკე წესდებაში იქნება გამოცხადებული.

II

საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებთა შორის ყოველგვარ სურსათის თანასწორათ განაწილებისათვის და მეზობელ სახელმწიფოებთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის ნორმალურად წარმოებისათვის, ვამტკიცებ უკვე გამოსულ განკარგულებას აღკრძალვის შესახებ, ვუმატებ მას და სახელმძღვანელოდ და შესასრულებლათ ვაცხადებ შემდეგს:

1. საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში აღკრძალულია მოცვის ფოთლის (ჩაის) შესყიდვა და გაზიდვა, ამ უკანასკნელის საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, სასურსათო სამინისტროს ნებადაურთველათ; გაზიდვა კი საზღვარ გარეთ აღკრძალულია სასურსათო სამინისტროს და საქონლის გაცვლა-გამოცვლის კომიტეტის ნებადაურთველათ.

2. გამოზიდვა ქ. ქუთაისიდან და ქუთაისის გუბერნიიდან, გადაზიდვა ამავე გუბერნიის სხვადასხვა კუთხეებში შეიძლება ქუთაისის გუბერნიის სასურსათო საქმის რწმუნებულის ნებართვით.

3. დამზადება მოცვის ფოთლისა (ჩაის) ევალება ქუთაისის გუბერნიის სასურსათო საქმის რწმუნებულს ლ. ე. გრიგოლიას და სასურსათო საქმის სამინისტროს რწმუნებულს სპეციალისტს ა. პ. სამარინს.

4. ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევის გამო დამნაშავენი მიცემულ იქნებიან პასუხის გებაში.

5. საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის ადმინისტრაციას ევალება თვალ-ყური ადევნოს ამ სავალდებულო დადგენილების შესრულებას სხვადასხვა სადგურებზე, დანარჩენ კუთხეებში კი ადგილობრივ გამგეობას.

6. ეს სავალდებულო დადგენილება შედის ძალაში დღიდან ხელის მოწერისა.

მინისტრის ამხანაგი პ. საბაშვილი.
სამინისტროს მდივანი ვ. გაჩეჩილაძე.

რედაქტორი სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი ცენტრალური კომიტეტი.

თბილისი, სტამბა ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობისა, გოლოვინის ქუჩა № 26.